



საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო

განსახლებულ დევნილთა ინტეგრაციის ხელშეწყობის საგრანტო  
პროგრამა

პროგრამის კოდი: 02-2019

განმახორციელებელი უწყება: სსიპ საარსებო წყაროებით  
უზრუნველყოფის სააგენტო

2019 წელი



## სარჩევი

1. შესავალი .....	3
2. პროგრამის დასაბუთება.....	3
3. პროგრამის აღწერა.....	5
4. პროგრამის სამიზნე ჯგუფი.....	8
5. საკვალიფიკაციო მოთხოვნები: .....	9
6. წარმოსადგენი დოკუმენტები: .....	10
7. პროგრამის მიზანი .....	11
8. პროგრამის შედეგი.....	11
9. პროგრამის გავრცელების არეალი და ბიუჯეტი.....	11
10. პროგრამის სამოქმედო გეგმა .....	12
11. გამარჯვებული საგრანტო განაცხადების გამოვლენა.....	12
12. პროგრამის შეფასება და მონიტორინგი .....	15



## 1. შესავალი

პროგრამის შემუშავება მოხდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის №257 განკარგულებით დამტკიცებული „იძულებით გადაადგილებულ პირთათვის – დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიისა“ და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 15 თებერვლის N404 განკარგულებით დამტკიცებული „იძულებით გადაადგილებულ პირთათვის – დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის“ (შემდგომი - სამოქმედო გეგმა) საფუძველზე.

## 2. პროგრამის დასაბუთება

2019 წლის თებერვლის მონაცემებით საქართველოში იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსს ფლობს 282,716. მათგან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს N320 ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებელი უზრუნველყოფის წესით“ გათვალისწინებული „კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის (სახლი/ბინა) შესყიდვის“ პროცედურის (შემდგომში - სოფლად სახლის პროგრამა) ფარგლებში სახლი გადაეცა 6,685 პირს ანუ 2,685 ოჯახს.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში - სამინისტრო) ახორციელებს დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობებს. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება იძულებით გადაადგილებულ პირთა გრძელვადიან განსახლებასა და მათთვის შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური პირობების შექმნაზე.



გრძელვადიანი განსახლების ერთ-ერთი ფორმაა სახლის (ბინის) შესყიდვის პროგრამა ე.წ. სოფლად სახლის პროგრამა, რომლის ფარგლებში დევნილებს სახლი გადაეცემათ ქ. თბილისსა და რეგიონებში, მათ შორის სოფლის ტიპის დასახლებებში. აღნიშნული პროგრამა არა მხოლოდ უზრუნველყოფს დევნილებს გრძელვადიანი საცხოვრებლით. პროგრამის უპირატესობა არის ის, რომ დევნილებს საშუალება აქვთ თავად შეარჩიონ სახლი და რეგიონი.

მიუხედავად იმისა, რომ სოფლად სახლის პროგრამის ფარგლებში დევნილებს გადაეჭრათ საცხოვრებლის პრობლემა, ისინი კვლავ წარმოადგენენ მოწყვლად ფენას და სახელმწიფოსგან მხარდაჭერას საჭიროებენ. როგორც არსებული მდგომარეობა აჩვენებს, განსახლების გარდა აუცილებელია სხვადასხვა პროგრამების შემუშავება, რომლებიც მორგებული იქნება სოფლად სახლის პროგრამის ბენეფიციართა საჭიროებებზე და გააუმჯობესებს მათ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

განსახლების პროგრამის წარმატებულობისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ახალ საცხოვრებელ ადგილზე დევნილთა ინტეგრაციის დონეს. ინტეგრაციას კი, ხელს უწყობს სტაბილური შემოსავალი, დასაქმება, საარსებო წყაროებზე წვდომა და სოციალური და ეკონომიკური კეთილდღეობა.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, განხორციელდა სოფლად სახლის პროგრამის ბენეფიციართა საჭიროების კვლევა. შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ კვლევაში მონაწილე დევნილთა 34,4% სოციალურად დაუცველია; გამოკითხულთა 6,3%-ს აქვს შეზღუდული შესაძლებლობები; 6,3% ფლობს სხვა ტიპის სოციალურ სტატუსს. უკიდურესად მოწყვლადი დევნილები არსებული ფსიქო-სოციალური გარემოებების გათვალისწინებით უფრო მეტად საჭიროებენ ხელშეწყობას.

შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ განსახლებულ დევნილებს ესაჭიროებათ ფინანსური მხარდაჭერა, რათა გააუმჯობესონ საარსებო მდგომარეობა. პრიორიტეტულ მიმართულებებად დასახელდა სოფლის მეურნეობა და სურსათის გადამამუშავება. ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის გამოკითხულ დევნილთა 28% თვლის, რომ ესაჭიროება კულტივატორის/მინი ტრაქტორის შეძენა; 16%-ს დახმარება სჭირდება სურსათის



პროდუქტების გადამამუშავებელი ტექნიკის შეძენით; 10%-ს ესაჭიროება მრავალწლიანი კულტურები;

გამოკითხულ დევნილთა 45%-ს მიუწვდება ხელი მიწის ნაკვეთზე, რომელთა ფართობის მიხედვით გადანაწილება შემდეგნაირია:

კვ. მ.	პროცენტი
0-500	25%
501-1000	32%
1001-3000	29%
3000+	13%

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩართულია გამოკითხულ დევნილთა 29%. ზოგი მათგანი ერთდროულად რამდენიმე ტიპის საქმიანობას ეწევა, კონკრეტულად, მათი 49% ეწევა მეხილეობას, 43% მებოსტნეობას, 12% მესაქონლეობას, 6% მევენახეობას, 5% მეფრინველეობას, 3% სასათბურე მეურნეობას, ხოლო 2% მეფუტკრეობას.

### 3. პროგრამის აღწერა

წინამდებარე პროგრამის მიზნებისათვის, ტერმინი „საარსებო წყაროები“ გულისხმობს იმ აქტივებსა და საარსებოდ აუცილებელ საშუალებებს, რომელიც საჭიროა შემოსავლის გაჩენისა და თვითდასაქმების გზით სიღარიბის დონის შემცირებისთვის. საარსებო წყაროები მაშინ არის მდგრადი, როდესაც ისინი მჭიდროდაა დაკავშირებული საცხოვრებელ ადგილთან.

წინამდებარე პროგრამა ითვალისწინებს საშუალო და მცირე საგრანტო პაკეტებს. საშუალო საგრანტო პაკეტის ღირებულება 5 000-დან 12 000 ლარამდე მერყეობს საგრანტო პაკეტების მიხედვით. მცირე საგრანტო პაკეტის მაქსიმალური ღირებულება კი 3 000 ლარია.

გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად, შემუშავდა საგრანტო პაკეტები, რომელთა შეთავაზება ხდება პროგრამის სამიზნე ჯგუფისათვის.



პროგრამის ფარგლებში დასაშვებია ორი მიმართულების ინიციატივების დაფინანსება:

1. სასოფლო-სამეურნეო &
2. სურსათის წარმოება - გადამუშავება.

სოფლის მეურნეობის მიმართულებით მხარდაჭერის სამი პაკეტია გათვალისწინებული წინამდებარე პროგრამის ფარგლებში:

1. მინი ტრაქტორი;
2. მოტობლოკი - ძირითადი იმპლემენტებით &
3. მრავალწლიანი კულტურები.

სურსათის წარმოება-გადამუშავების სექტორში დასაფინანსებელი მიმართულებები შეზღუდული არ არის.

### **პაკეტების აღწერა და გრანტის მაქსიმალური ოდენობა**

მექანიზაციის მიმართულებით შესაბამის ექსპერტთან ერთად პროგრამის მიზნებისათვის შემუშავდა მინი ტრაქტორისა და კულტივატორის მინიმალური მახასიათებლები, პროგრამისათვის გათვალისწინებული ბიუჯეტისა და შედეგის გათვალისწინებით. ქვემოთმოცემული მახასიათებლების შემუშავებისას გათვალისწინებული იყო სამიზნე ლოკაციებზე შეთავაზებული პაკეტების გამოსადეგობა.

1. მინი ტრაქტორი  
პროგრამის ფარგლებში განმცხადებლებს შეუძლიათ მიიღონ 4 თვლიანი, 4 ტაქტიანი მინი ტრაქტორი დიზელზე. მინი ტრაქტორის სიმძლავრე მინიმუმ 18 ცხენის ძალა.

საგრანტო პაკეტის მაქსიმალური ღირებულებაა 12 00 ლარი;

2. მოტობლოკი - ძირითადი იმპლემენტებით



აღნიშნული საგრანტო პაკეტის ფარგლებში განმცხადებელს შესაძლებლობა აქვს მიიღოს 9 ცხენის ძალის მქონე 2 თვლიანი 4 ტაქტიანი მოტობლოკი დიზელზე და ორი ძირითადი იმპლემენტი - გუთანა და ფრეზი.

აღნიშნული საგრანტო პაკეტის მაქსიმალური ღირებულებაა 3 000 ლარი.

### 3. მრავალწლიანი კულტურები

წინამდებარე პროგრამის ფარგლებში კულტურის სახეობა შეზღუდული არ არის. შეფასების ეტაპზე გათვალისწინებული იქნება განმცხადებლის გამოცდილება შემოთავაზებული კულტურის მოვლა-მოყვანაში. აღნიშნული საგრანტო პაკეტის მაქსიმალური ღირებულებაა 5 000 ლარი.

### 4. სურსათის პირველად წარმოება-გადამუშავებასთან დაკავშირებული ინიციატივები

წინამდებარე პროგრამის ფარგლებში ინიციატივები შეზღუდული არ არის. შეფასების ეტაპზე გათვალისწინებული იქნება განმცხადებლის გამოცდილება შემოთავაზებული საგრანტო განაცხადით გათვალისწინებულ საქმიანობასთან მიმართებაში. აღნიშნული საგრანტო პაკეტის მაქსიმალური ღირებულებაა 7 500 ლარი

#### პროგრამის ფარგლებში შეუსაბამო საქმიანობის სახეებია:

- ✓ ინდივიდუალურ ფინანსური დახმარება;
- ✓ სტიპენდიების გაცემა;
- ✓ საქმიანობა, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს გარემოზე;
- ✓ ალკოჰოლის, თამბაქოს, აზარტული თამაშების წახალისებასთან დაკავშირებული საქმიანობა;
- ✓ მიწის/ ფართის შესყიდვა, იჯარა, ქირა;
- ✓ სახელფასო ხარჯები;
- ✓ საბრუნავი კაპიტალი;
- ✓ ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯი;



- ✓ მეორადი დანადგარების ან ტექნიკის შეძენა;
- ✓ ხარჯები, რომლებიც ეხება არსებული შენობების რეკონსტრუქციას ან რემონტს;
- ✓ გადასახადები და/ან დავალიანებები/სესხები (პროცენტი და ძირი);
- ✓ პირადი მოხმარების ნივთების შესყიდვა;
- ✓ ერთიდაიგივე დევნილს ორი ან მეტი ინიციატივა (თუნდაც სხვადასხვა მიმართულებების მიხედვით).

პროგრამის ფარგლებში თანადაფინანსება არ წარმოადგენს აუცილებელ კომპონენტს. ბენეფიციარის თანამონაწილეობად ჩაითვლება მისი მატერიალური და არამატერიალური კონტრიბუცია, რაც აუცილებელია შემოთავაზებული პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის.

სრულად შევსებული განაცხადის ფორმა თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად უნდა ჩაბარდეს სსიპ საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის კანცელარიას შემდეგ მისამართზე:

თამარაშვილის ქ. N 15ა, თბილისი, საქართველო 0186

განაცხადისა და თანდართული დოკუმენტაციის წარდგენა შესაძლებელია ელექტრონულადაც სააგენტოს ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე: [info@livelihood.gov.ge](mailto:info@livelihood.gov.ge)

ელექტრონულ ფოსტაზე განაცხადის გაგზავნის შემთხვევაში სრული დოკუმენტაცია და განაცხადი უნდა იყოს PDF ფორმატში.

#### 4. პროგრამის სამიზნე ჯგუფი

პროგრამის სამიზნე ჯგუფია სამინისტროს სოფლად სახლის პროგრამის ფარგლებში გრძელვადიანი განსახლებით დაკმაყოფილებული ბენეფიციარები.





## 5. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

წინამდებარე პროგრამის ფარგლებში განმცხადებლისათვის დაწესებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნის ორი დონის კრიტერიუმი: ზოგადი და სპეციფიური. ზოგად კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს ყველა განმცხადებელი. სპეციფიური კრიტერიუმი გამომდინარეობს კონკრეტული საგრანტო პაკეტიდან და განსხვავდება ამავე პაკეტების მიხედვით.

### 5.1 განმცხადებლისათვის დაწესებული ზოგადი კრიტერიუმები:

1. განმცხადებელი რეგისტრირებულია სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევენილთა მონაცემთა ერთიან ბაზაში და მისი სტატუსი აქტიურია;
2. განმცხადებელი არის სამინისტროს სოფლად სახლის პროგრამის ბენეფიციარი;
3. საგრანტო განაცხადი შევსებულია სრულყოფილად, ხელმოწერილია და წარმოდგენილია ყველა მოთხოვნილი დოკუმენტი;
4. შემოთავაზებული პროექტი შეესაბამება წინამდებარე პროგრამით დადგენილ პრიორიტეტებსა და ქვე-მიმართულებებს;
5. საგრანტო განაცხადი მიღებულია დადგენილ ვადებში.

### 5.2. განმცხადებლისათვის დაწესებული სპეციფიური კრიტერიუმები:

1. სპეციფიური კრიტერიუმი მინი ტრაქტორის საგრანტო პაკეტის განმცხადებელთათვის:  
განმცხადებელი საკუთრებაში/თანასაკუთრებაში ფლობს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს, რომლის ფართი 3 000 კვ.მ ან მეტია;
2. სპეციფიური კრიტერიუმი მოტობლოკისა და მრავალწლიანი კულტურების საგრანტო პაკეტების განმცხადებელთათვის:  
განმცხადებელი საკუთრებაში/თანასაკუთრებაში ფლობს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს, რომლის ფართი მინიმუმ 500 კვ. მ.-ია.



3. სპეციფიური კრიტერიუმი სურსათის პირველადი წარმოება-გადამუშავების მიმართულების საგრანტო პაკეტის განმცხადებელთათვის:

განმცხადებელი კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი სამართლებრივი ფორმით ფლობს მის მიერ შემოთავაზებული პროექტისათვის საჭირო ფართს.

## 6. წარმოსადგენი დოკუმენტები:

სრულყოფილად შევსებულ განაცხადთან ერთად განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. პირადობის/პასპორტის ასლი;
2. მიწის საკუთრების/თანასაკუთრების დამადასტურებელი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (სასოფლო-სამეურნეო მიმართულების საგრანტო პაკეტების შემთხვევაში)
3. საგრანტო განაცხადით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო ფართის ნებისმიერი სამართლებრივი ფორმით ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (სურსათის პირველადი წარმოება-გადამუშავების მიმართულების საგრანტო პაკეტის შემთხვევაში)
4. მრავალწლიანი კულტურების საგრანტო პაკეტზე განმცხადებელმა ზემოთჩამოთვლილ დოკუმენტაციასთან ერთად უნდა წარმოადგინოს 1 ინვოისი, სადაც მითითებული იქნება შესასყიდი კულტურა, ნერგების რაოდენობა, თითოეული ნერგის ფასი, ჯამური ღირებულება და ნერგის მახასიათებლები.

*შენიშვნა* - ცალკეული განაცხადის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია სააგენტოს მიერ მოხდეს დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნა.



## 7. პროგრამის მიზანი

პროგრამის ზოგად მიზანს წარმოადგენს ერთის მხრივ, დევნილების სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა მათ საცხოვრებელ ადგილებზე და მეორეს მხრივ, სახელმწიფოზე დამოკიდებულებიდან თვითკმარობაზე გადასვლის უზრუნველყოფა.

პროგრამის კონკრეტული მიზნებია:

- სოფლად განსახლებული დევნილების შემოსავლის ზრდა მათი სასოფლო სამეურნეო და სურსათის პირველად წარმოება-გადამუშავებასთან დაკავშირებული ინიციატივების მხარდაჭერის გზით;
- სამინისტროს სოფლად სახლის პროგრამის ფარგლებში სოფლად სახლის შექმნის წახალისება.

## 8. პროგრამის შედეგი

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება 10 ყველაზე მაღალი ქულის მქონე განმცხადებელი.

## 9. პროგრამის გავრცელების არეალი და ბიუჯეტი

პროგრამა ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

2019 წლისათვის პროგრამის ბიუჯეტია 100 000 ლარი. დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.



## 10. პროგრამის სამოქმედო გეგმა

საქმიანობა	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
განაცხადების მიღება	X	X						
განაცხადების დამუშავება	X	X						
დამატებითი ვადა დოკუმენტაციის წარმოსადგენად		X	X					
პირველადი მონიტორინგი			X					
განაცხადების შეფასება და გამარჯვებული ბენეფიციარების გამოვლენა				X				
შესყიდვების მოსამზადებელი სამუშაოები				X				
შესყიდვა					X	X	X	
შესყიდული ძირითადი საშუალებების გადაცემა ბენეფიციარებისათვის					X	X	X	X

## 11. გამარჯვებული საგრანტო განაცხადების გამოვლენა



პროგრამის ფარგლებში მიღებული განაცხადების შეფასება ხდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე დგინდება განმცხადებლისა და განაცხადის შესაბამისობა პროგრამით გათვალისწინებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, როგორც ზოგად, ისე სპეციფიურ კრიტერიუმებთან. მეორე ეტაპი გულისხმობს საგრანტო განაცხადის არსებით შეფასებას.

საგრანტო განაცხადი განხილვის მეორე ეტაპზე გადავა პირველი ეტაპის წარმატებით გადალახვის შემთხვევაში.

არსებითი შეფასების ეტაპზე საგრანტო განაცხადის განხილვა ხორციელდება წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებისა და შესაბამისი ქულების მიხედვით.

საგრანტო განაცხადის შეფასებისათვის დადგენილი მაქსიმალური ქულაა 10. გამარჯვებულად ჩაითვლება ყველაზე მაღალი ქულის მქონე საგრანტო განაცხადები. საგრანტო განაცხადების შეფასებას განახორციელებს ინდივიდუალურად კომისიის ყველა წევრი. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია შეიქმნას რეზერვი, რომლის გამოყენებაც მოხდება გამარჯვებულად გამოვლენილი რომელიმე განმცხადებლის მხრიდან გრანტის მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში. გამარჯვებული განაცხადები გამოვლინდება არსებული ფინანსური რესურსის ფარგლებში.

შეფასების კრიტერიუმები

კრიტერიუმი	განმარტება	მაქსიმალური ქულა
განაცხადი კარგად არის ჩამოყალიბებული და დასაბუთებული	<ul style="list-style-type: none"> <li>განაცხადში მოცემულია ადექვატური ინფორმაცია, რომელიც საჭიროა შეფასებისათვის.</li> <li>განაცხადის ყველა ნაწილი შევსებულია სრულყოფილად.</li> </ul>	2



<p>განმცხადებლის გამოცდილება და შესაძლებლობა/უნარი, რაც საჭიროა პროექტის განხორციელებისათვის</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• აქვს თუ არა განმცხადებელს პროექტით შემოთავაზებული საქმიანობის წარმართვის გამოცდილება</li> <li>• აქვს თუ არა განმცხადებელს პროექტის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები (მატერიალური/არამატერიალური).</li> </ul>	<p>2</p>
<p>საგრანტო პროექტის მდგრადობა</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• რამდენად წარმატებული და სიცოცხლისუნარიანი იქნება საქმიანობა დაფინანსების მიღების შემდეგ</li> </ul>	<p>2</p>
<p>განმცხადებლის მზაობა პროექტთან დაკავშირებული რისკების მიმართ</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• რამდენად სრულყოფილად აქვს განმცხადებელს გააზრებული პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები;</li> <li>• აქვს თუ არა ჩამოყალიბებული აღნიშნული რისკების შემსუბუქების მექანიზმები</li> </ul>	<p>1</p>
<p>უარყოფითი გავლენა გარემოზე</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• აქვს თუ არა განმცხადებელს გააზრებული პროექტის უარყოფითი გავლენა გარემოზე;</li> <li>• იმ შემთხვევაში, თუ პროექტს აქვს უარყოფითი გავლენა გარემოზე, აქვს თუ არა განმცხადებელს გააზრებული აღნიშნული გავლენის თავიდან</li> </ul>	<p>1</p>



	აცილების/ ღონისძიებები	შემცირების	
როგორ აქვს განმცხადებელს გააზრებული ფინანსური ნაწილი	<ul style="list-style-type: none"> <li>კომისიის განმცხადებელს კარგად საგრანტო ფინანსური ნაწილი და/ან მის მიერ მოყვანილი ფინანსური გათვლები არ არის სრულყოფილი</li> <li>კომისიის განმცხადებლის მიერ მოყვანილი ფინანსური გათვლები რეალურია და კარგად არის გააზრებული.</li> </ul>	შეფასებით არ აქვს გააზრებული განაცხადის ნაწილი და/ან მოყვანილი არ	2

## 12. პროგრამის შეფასება და მონიტორინგი

პროგრამის ფარგლებში, განხორციელდება როგორც პირველადი, ისე შემდგომი მონიტორინგი 1 წლის განმავლობაში. პირველადი მონიტორინგის მიზანია, დადგინდეს განაცხადით მოთხოვნილი ინვესტიციის საჭიროება, განხორციელებადობა და მდგრადობა. სააგენტო მონიტორინგს განახორციელებს მხოლოდ იმ განმცხადებლებთან, ვინც გადალახავს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. დაფინანსების შემდგომი მონიტორინგის მიზანია, შემოწმდეს პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ხელშეწყობის მიზნობრივად გამოყენების ფაქტი და შეფასდეს გაუმჯობესებული საარსებო მდგომარეობა.

პროგრამის შეფასება განხორციელდება 2020 წელს. პროგრამის შეფასების მიზნით შემუშავდება სპეციალური კითხვარები, რომელთა მიხედვითაც, მოხდება პროგრამის ბენეფიციართა გამოკითხვა. აღნიშნული კვლევის შედეგების ანალიზის შედეგად, გამოვლინდება პროგრამის სუსტი და ძლიერი მხარეები და საჭიროების შემთხვევაში შემუშავდება რეკომენდაციები პროგრამაში სათანადო ცვლილებების შეტანის მიზნით.